გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 186

2022 წლის 17 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და თენგიზ ასკილაშვილს შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს გაფორმებული №28 და №29 პრივატიზაციის ხელშეკრულებების პირობების შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №43 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №44 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და თენგიზ ასკილაშვილს შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს გაფორმდა პირობებით გამოცხადებული აუქციონის N28 ხელშეკრულება (მიწის ნაკვეთზე: ს/კ 66.54.22.829; (ახალი ს/კ 66.54.23.035) 514 კვ.მ. მისამართი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერბუკი) და პირობებით გამოცხადებული აუქციონის N29 ხელშეკრულება (მიწის ნაკვეთზე: ს/კ 66.54.23.005 (ახალი ს/კ 66.54.23.035); 543 კვ.მ. მისამართი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერბუკი). ხელშეკრულებების პირობებად განისაზღვრა, რომ პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში უნდა მომხდარიყო მიწის ნაკვეთების განაშენიანება და აშენებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება. მოგვიანებით, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების მესაკუთრე (შესაბამისად, მითითებული პირობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი) გახდა ირაკლი ცერცვაძე, რომელმაც თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან 66.54.23.004 მოახდინა აღნიშნული ორი ნაკვეთის გაერთიანება და ჩამოყალიბდა ერთ საკადასტრო კოდად 66.54.23.035.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ირაკლი ცერცვაძის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ სამშენებლო -არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების გამო, ხელი შეეშალა სამუშაოების განხორციელებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ირაკლი ცერცვაძე ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და თენგიზ ასკილაშვილს შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს გაფორმებული №28 და №29

პრივატიზაციის ხელშეკრულებების პირობების შეცვლაზე - პრივატიზებული მიწის ნაკვეთებზე მისამართი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერბუკი, არასასოფლო სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.54.23.035.) მიწის ნაკვეთის განაშენიანების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ნაცვლად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და თენგიზ ასკილაშვილს შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს გაფორმებული №28 და №29 პრივატიზაციის ხელშეკრულებების პირობების შეცვლაზე - პრივატიზებული მიწის ნაკვეთებზე (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერბუკი, არასასოფლო სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ს/კ 66.54.23.035.) მიწის ნაკვეთის განაშენიანების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ნაცვლად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე